

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივისა და ხელშეწყობის პროექტი (EECALink)

აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატივისა და ხელშეწყობის პროექტი მიზნად ისახავს ევროკავშირის, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში (EECA) საერთო კვლევითი პრიორიტეტების იდენტიფიცირებას და პროექტის მიერ მოცულ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. პროექტი დაფინანსებულია მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში (კონტრაქტის ნომერი 223359) და მისი პრიორიტეტი თემატიკაა ჯანმრთელობა. პროექტის კოორდინატორია პრადის ჩარლზის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პროფესორი სტანისლავ სტიპეკი. პროექტში მონაწილეობს 17 პარტნიორი დაწესებულება 12 ქვეყნიდან: სომხეთი, ბელორუსია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საქართველო, უნგრეთი, იტალია, ყაზახეთი, მოლდავეთი, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა და უზბეკეთი.

პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ:

1. პოლიტიკის განმსაზღვრელებს,
2. საუნივერსიტეტო და აკადემიურ პარტნიორებს,
3. მკვლევარებს.

პროექტის საწყისი შეხვედრა გაიმართა 2009 წლის ივნისის დასაწყისში. პროექტის ხანგრძლივობაა 30 თვე (2011 წლის ნოემბრამდე)

პროექტის პრიორიტეტები:

1. ჯანმრთელობის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დანერგვა და ხელშეწყობა, რომელიც განხორციელდება მეშვიდე ჩარჩო პროგრამაში მომწოდებლის მისაღებად ახალი კვლევითი კონსორციუმების შექმნაში აქტიური ხელშეწყობის გზით;
2. აღნიშნული კვლევითი კონსორციუმების შემდგომი განვითარება და მათი დახმარება მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში პროექტების განაცხადების მომზადებისთვის;
3. ევროკავშირის, აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ერთობლივი კვლევითი ინტერესების განსაზღვრა და შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელებთან ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმების უზრუნველყოფა;
4. მონაწილე უნივერსიტეტებსა და აკადემიურ პარტნიორებს შორის არსებული კვლევითი თანამშრომლობის გაღრმავება-გაფართოება;

5. უნივერსიტეტების შესაძლებლობების ამაღლება მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში პროექტების ეფექტური განხორციელების მიზნით;
6. მეშვიდე ჩარჩო პროგრამის მნიშვნელობის გაცნობა ფართო კვლევითი აუდიტორიისთვის – კერძოდ, უნივერსიტეტებისათვის როგორც მოცემული კონსორციუმის ფარგლებში, ასევე მის გარეთ.

პროექტის მთავარი შედეგები:

1. აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში მეშვიდე ჩარჩოს პროგრამის გავრცელება აღნიშნული ქვეყნებიდან მონაწილეების მოწვევით სამ საბროკერო შეხვედრაზე. შეხვედრები ორგანიზებული იქნება მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში;
 - სამგზავრო გრანტი რომელიც გაიცემა განაცხადის რეგითობის მიხედვით (დეტალებისათვის იხილეთ გრანტის გაცემის ტექნიკური დავალება). სამგზავრო გრანტი მიეცემათ მეცნიერებს შემდეგი ქვეყნებიდან: სომხეთი, საქართველო, ბელარუსია, ყაზახეთი, მოლდავეთი, რუსეთი, უკრაინა, უზბეკეთი. ეს გრანტი გულისხმობს მეცნიერთა დასწრებას მეშვიდე ჩარჩო პროგრამის შეხვედრებზე, რომლებიც ჯანმრთელობის თემატიკას ეხება;
 - აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ინიცირებისა და ხელშეწყობის პროექტი (EECALink project) ასევე გულისხმობს ხელშეწყობას განაცხადების მომზადების პროცესში იმ ახალი კვლევითი კონსორციუმის შესაქმნელად, რომელიც მოცემული პროექტის დახმარებით ჩამოყალიბდა. აღნიშნულ დახმარებას პროექტის მონაწილეებს გაუწევენ მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ექსპერტები. (“გრანტ გარანტი”, ევროპაში კვლევების ხელშეწყობის სააგენტო, უნგრეთის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ფონდი, კრაკოვის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი);
 - დამატებითი ინფორმაცია სამგზავრო გრანტებთან და განაცხადის მომზადებაში დახმარებასთან დაკავშირებით შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე: http://www.eecalink.eu/?cat=proposal_support
2. ბრიუსელში პოლიტიკაზე ორიენტირებული კონფერენციისა და მისი მომიჯნავე საბროკერო შეხვედრის ორგანიზება, რომელიც ეძღვნება აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის ინიცირებისა და ხელშეწყობის პროექტის პარტნიორ ქვეყნებს და განხორციელდება 2011 წელს ევროკავშირის მიერ გამოცხადებული განაცხადების მიღების ვადების თანადროულად;

- შემაჯამებელი კონფერენცია და საბროკერო შეხვედრა (დაახლოებით 100 მონაწილე) მოეწყობა პროექტის დასრულებისას (სავარაუდოდ, 2011 წლის ივნისში).
3. ყველა მონაწილე ქვეყანაში თორმეტი ორდღიანი ეროვნული ტრენინგ-შეხვედრების ორგანიზება
- ტრენინგები მიეძღვნება მონაწილეობის ეფექტურობის ამაღლებას და მეშვიდე ჩარჩო პროგრამის მნიშვნელობის გაზიარებას ჯანმრთელობის კვლევებზე ორიენტირებული აუდიტორიისთვის. გარდა მეშვიდე ჩარჩო პროგრამის ზოგადი მიმოხილვისა, მისი ადმინისტრაციული პრინციპებისა და ფინანსური რეგულაციების პრეზენტაციისა, პროექტის პარტნიორი თითოეული ქვეყანა მოამზადებს ერთ სატრენინგო სესიას მოცემული ქვეყნისათვის სპეციფიურ საკითხებზე, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მეშვიდე ჩარჩო პროგრამასთან;
 - ინდივიდუალური სასწავლო შეხვედრების მომზადება პროექტის პარტნიორ ქვეყნებში და მონაწილე ევროკავშირის ქვეყნებში.
4. აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის განმსაზღვრელი სესიების მოწყობა, რომლებიც მიეძღვნება მომავალი ჩარჩო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსებისთვის სავარაუდო თემების შერჩევას, რაც იმავდროულად მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩართვას ევროპული კვლევების სფეროში:
- სულ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ჩატარდება 8 პოლიტიკის განმსაზღვრელი სესია, რომელიც ერთად შეკრებს ხუთი კაცისგან შემდგარ ექსპერტთა ჯგუფს და ევროკომისიის ოფიცერს; სესიაზე განხილული იქნება ჯანმრთელობის კვლევების სფეროში თემატური განსხვავებები და მსგავსებები.
 - აღნიშნული განხილვები ჯანმრთელობის კვლევების დაფინანსების სქემებში განსხვავებებისა და მსგავსებების იდენტიფიცირებისა და მომავალი მერვე ჩარჩო პროგრამის ფარგლებში ერთობლივი საკვლევი თემატიკის შემუშავების საშუალებას იძლევა, რაც გამიზნულია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი.

დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ ჩვენი ვებგვერდი www.eecalink.eu

ან დაუკავშირდეთ პროექტის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

vojtech.nosek@lfl.cuni.cz ვოჟტეხ ნოსეკი,

პრადის ჩარლზის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი.